

შპს ჯიაიჯი ჰოლდინგი

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2023 წლის 31 დეკემბერს

შპს ჯიაიჯი ჰოლდინგი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

<i>ქართულ ერთეულ ლარში</i>	<i>შენიშვნა</i>	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	666,004	350,443
საინვესტიციო ქონება	4	10,798,356	-
არამატერიალური აქტივები		164,296	153,149
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,628,657	503,592
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		75,012	81,229
გაცემული სესხები	5	2,103,666	333,230
სავაჭრო მოთხოვნები	6	619,322	378,745
საგადასახდო აქტივი		2,340,274	34,489
ფული და ფულის ექვივალენტები		615,891	23,263
სულ მიმდინარე აქტივები		5,754,165	850,956
სულ აქტივები		17,382,822	1,354,548
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		5,747,498	5,750,003
დაუფარავი ზარალი		(5,121,505)	(5,154,996)
სულ კაპიტალი		625,993	595,007
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	16,756,829	759,541
სულ ვალდებულებები		16,756,829	759,541
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		17,382,822	1,354,548

შპს ჯიაიჯი ჰოლდინგი
მოგება - ზარალის ანგარიშგება

ქართულ ერთეულ ლარში	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი		6,976,895	4,385,882
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		6,976,895	4,385,882
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები		(79,994)	(20,265)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(6,776,662)	(4,704,731)
სხვა ხარჯები და შემოსავალი, წმინდა		(263,028)	(56,685)
სულ საოპერაციო ხარჯი		(142,789)	(395,799)
ფინანსური შემოსავალი		194,918	92,800
ფინანსური ხარჯი		(18,639)	(13,836)
მოგება/(ზარალი)		33,490	(316,835)

შპს ჯიაიჯი ჰოლდინგი
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ქართულ ერთეულ ლარში	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ
31 დეკემბერი, 2021 წელი	5,750,003	(4,838,161)	911,842
წლის სრული ზარალი	-	(316,835)	(316,835)
31 დეკემბერი, 2022 წელი	5,750,003	(5,154,996)	595,007
საკუთარი კაპიტალის შემცირება	(2,506)	-	(2,506)
წლის სრული მოგება	-	33,490	33,490
31 დეკემბერი, 2023 წელი	5,747,498	(5,121,505)	625,993

შპს ჯიაიჯი ჰოლდინგი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

<i>ქართულ ერთეულ ლარში</i>	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		10,256,140	5,412,160
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(1,803,542)	(1,473,999)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(4,092,339)	(2,567,766)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		4,360,259	1,370,395
გადახდილი პროცენტი		(189)	(409)
გადახდილი გადასახადები		(2,109,382)	(1,191,137)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები, წმინდა		2,250,688	178,849
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
სესხების გაცემა		(2,160,487)	(312,500)
გაცემული სესხების დაფარვა		419,000	-
მიღებული პროცენტი		53,003	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული, წმინდა		(1,688,484)	(312,500)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, წმინდა		30,424	(4,074)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		23,263	160,988
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		615,891	23,263

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯიაიჯი ჰოლდინგი“ (ყოფილმა შპს საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა “იურიდიული სახელი შეიცვალა 2024 წლის 2 ივლისს, ბრენდის განახლების პროცესის ფარგლებში) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. ძირითადი საქმიანობაა კონსულტირება მართვის საკითხებში.

კომპანიის იურიდიული მისამართი : თბილისი, პეკინის გამზირი N34 / ალ. ყაზბეგის N2ა

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტა. თითოეული კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო ოპერირებს. საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური ანგარიშგება.

უცხოური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი/ 1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/ 1 ევრო	2.9753	2.8844

ამჟამად ქართული ლარი საქართველოს გარეთ, ქვეყნების უმრავლესობაში თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა არ არის.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი მომსახურების გაწევის შესაბამისად აღიარდება. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება სერვისის მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ცალკეულ ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

ცვეთა. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე:

სასარგებლო გამოყენების ვადა	
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-დან 20 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-დან 10 წლამდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის განსაზღვრული რაოდენობა, რასაც კომპანია მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება მისი სასარგებლო სასიცოცხლო ვადის ამოწურვის პერიოდში. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო სასიცოცხლო ვადა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და კორექტირდება.

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავს კომპიუტერულ და საბუღალტრო პროგრამების ლიცენზიებს. ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია. კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების დაახლოებითი სასარგებლო გამოყენების ვადა არის 5 წელი, ხოლო საბუღალტრო პროგრამისთვის 10 წელი.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავსნად ფულს, ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. მომსახურეობა ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი

მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მფლობელობაში მყოფი ქონება, რომელსაც კომპანია არ იყენებს ძირითად საოპერაციო საქმიანობაში და ფლობს მათ, იმ მიზნობრიობით რომ მიიღოს საიჯარო შემოსავალი ან იხიროს ღირებულების ზრდით ან ორივე. კომპანიის საინვესტიციო ქონება მოიცავს მიწებსა და შენობებს, კერძოდ, გაზგასამართ და მოძრავ სადურებს. საინვესტიციო ქონების ძირითადი ნაწილი იჯარით არის გაცემული არადაკავშირებულ მხარეზე.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით და შემდგომში აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და საჭიროების შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. ცვეთა შენობებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა გადანაწილდეს მათი ღირებულება ნარჩენ ღირებულებებზე მათი სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში 10-დან 30 წლამდე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ შესაძლოა საინვესტიციო ქონება გაუფასურდეს, კომპანია აფასებს ანაზღაურებად თანხას, როგორც უმაღლესს გამოყენების ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის გასხვისების ხარჯების გამოკლებით. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ოდენობამდე წლის მოგება-ზარალზე დარიცხვის გზით. წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანაზღაურდება, თუ მოხდა შემდგომი ცვლილება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებში.

შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი მიედინება კომპანიაში და ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ყველა სხვა სარემონტო და ტექნიკური ხარჯები იხარჯება გაწევისას. თუ საინვესტიციო ქონება ხდება მფლობელის მიერ მართულად, ის ხელახლა კლასიფიცირდება ძირითად საშუალებებად.

3. ძირითადი საშუალებები

შემდეგი ცხრილი აჩვენებს ძირითადი საშუალებების მოძრაობას 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში:

ქართულ ერთეულ ლარში	მანქანები და აღჭურვილობა	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ნაგებობები	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2022	-	61,930	944,063	-	1,005,993
დამატება	-	27,697	87,528	-	115,225
31 დეკემბერი 2022	-	89,627	1,031,591	-	1,121,218
დამატება	51,126	-	103,020	200,000	354,146
31 დეკემბერი 2023	51,126	89,627	1,134,611	200,000	1,475,364
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2022	-	(45,036)	(1,391)	-	(46,427)
ცვეთის ხარჯი	-	(3,634)	(720,713)	-	(724,347)
31 დეკემბერი 2022	-	(48,670)	(722,104)	-	(770,774)
ცვეთის ხარჯი	-	(6,174)	(32,357)	(55)	(38,531)
31 დეკემბერი 2023	-	(54,844)	(754,461)	(55)	(809,305)
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2022	-	40,957	309,487	-	350,444
31 დეკემბერი 2023	51,126	34,783	380,150	199,945	666,004

4. საინვესტიციო ქონება

ქართულ ერთეულ ლარში	მიწა	შენობები და კონსტრუქციები	სულ
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	-	-	-
ძირითადი საშუალებებიდან გადმოსული აქტივები	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-
ძირითადი საშუალებებიდან გადმოსული აქტივები	800,000	10,000,000	10,800,000
საინვესტიციო ქონების ცვეთის ხარჯი	-	(1,644)	(1,644)
2023 წლის 31 დეკემბერი	800,000	9,998,356	10,798,356

2023 წლის 29 დეკემბერს კომპანიამ დაკავშირებული მხარისგან იყიდა მიწა და საოფისე შენობა 10,800 ათასი ლარად. აღნიშნული მიწა და შენობა, 2023 წლის 1 ნოემბრიდან გაიჯარებულა მესამე მხარეზე. შესაბამისად 2023 წლის 29 დეკემბრიდან კომპანია გახდა აღნიშნული მიწის და შენობის მეიჯარე და 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული ქონება დაკლასიფიცირდა როგორც საინვესტიციო ქონება.

5. გაცემული სესხები

ქართულ ერთეულ ლარში	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მიმდინარე			
მეკავშირე მხარეები	9.00%- 13.9%	2,103,666	333,230
სულ გაცემული სესხები		2,103,666	333,230

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ გასცა მოკლევადიანი სესხები, მშობელ კომპანიაზე, ჯამური ოდენობით 2,160,487 ათასი ლარის.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტი შეადგენს 38,601 ლარს. (2022 წლის 31 დეკემბრისთვის: 20,730 ლარი)

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

<i>ქართულ ერთეულ ლარში</i>	2023	2022
მიმდინარე		
სავაჭრო მოთხოვნები	517,723	284,499
თანამშრომლებზე წინასწარ გადახდილი ავანსები	66,706	59,353
წინასწარ გადახდილი ავანსები	34,893	34,893
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	619,322	378,745

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად მოიცავს დაკავშირებული კომპანიების მიმართ არსებულ მოთხოვნებს.

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

<i>ქართულ ერთეულ ლარში</i>	2023	2022
მიმდინარე		
სხვა ვალდებულებები	13,572,268	416,030
მომხმარებლებისაგან მიღებული ავანსები	3,168,523	343,511
გადასახდელი ხელფასები	16,038	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16,756,829	759,541

სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად მოიცავს დაკავშირებული კომპანიების მიმართ არსებულ ვალდებულებებს.

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

<i>ქართულ ერთეულ ლარში</i>	2023	2022
თანამშრომელთა ხელფასები	5,489,852	3,476,980
ინფორმაციის, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	557,650	450,764
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია	237,449	228,719
კომუნალური ხარჯები	115,806	115,206
წარმომადგენლობითი ხარჯები	23,287	131,184
ტრანსპორტირებისა და ავტომანქანების ხარჯები	23,764	26,401
ძირითადი საშუალებების საოპერაციო იჯარა	-	-
სხვა ხარჯები	264,858	275,477
დაზღვევა	2,346	-
მივლინების ხარჯი	53,476	-
გადასახადები, გარდა შემოსავალისა	8,176	-
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6,776,662	4,704,731

შპს ჯიაიჯი ჰოლდინგი


ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

27 სექტემბერი, 2023

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი